ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა

ნაწილი 6: ინტერესთა კონფლიქტი

პროფესიონალი ბუღალტრების ძირითადი პასუხისმგებლობაა თავიანთი სამუშაოს შესრულება და გადაწყვეტილებების მიღება დამკვეთის, დამსაქმებლისა და საზოგადოების ინტერესების სასარგებლოდ და არა ანგარების საფუძველზე. პროფესიონალ ბუღალტრებს, როგორც ნდობით აღჭურვილ მრჩეველებს, მოეთხოვებათ წარმოქმნილი ინტერესთა კონფლიქტების სათანადოდ მართვა. პროფესიონალმა ბუღალტერმა არ უნდა დაუშვას, რომ კონფლიქტმა მისი პროფესიული და საქმიანი გადაწყვეტილებების კომპრომეტირება გამოიწვიოს.

ინტერესთა კონფლიქტი თავისთავად კოდექსის დებულებების დარღვევად არ მოიაზრება.

პროფესიონალი ბუღალტრები აქტიურ და მრავალმხრივ როლს თამაშობენ საქმიან საზოგადოებაში. შესაბამისად, მათი ჩართულობის მასშტაბის გათვალისწინებით, შესაძლოა შეიქმნას ისეთი სიტუაცია, სადაც ინტერესთა კონფლიქტი წარმოიშობა. თუმცა, მნიშვნელოვანია გავაცნობიეროთ, რომ ინტერესთა კონფლიქტის პირობებში მოქმედება ავტომატურად არ ნიშნავს იმას, რომ პროფესიონალი ბუღალტერი არღვევს კოდექსის მოთხოვნებს. ყოველთვის არაა შესაძლებელი ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილება და ამ ფაქტმა შეიძლება საფრთხე შეუქმნას ეთიკის ძირითადი პრინციპების დაცვასა და დამოუკიდებლობას. ამგვარი კონფლიქტების ეფექტურად გადაჭრა შესაძლებელია კონცეპტუალური მიდგომის გამოყენებით, რომელიც შემდეგ ეტაპებს მოიცავს - **საფრთხეების გამოვლენა, შეფასება და მათზე რეაგირება.**

ინტერესთა კონფლიქტი ყველაზე მჭიდროდ ობიექტურობის პრინციპთან არის დაკავშირებული. ეთიკის კოდექსი პროფესიონალ ბუღალტრებს ავალდებულებს, რომ პროფესიული და საქმიანი გადაწყვეტილებების მიღებისას არ დაუშვან კომპრომისი მიკერძოების, ინტერესთა კონფლიქტის ან სხვისი მიზანშეუწონელი გავლენის გამო.

პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტებზე რეაგირებაც ისეთივე მნიშვნელოვანია, როგორც რეალურზე.

პოტენციურ ინტერესთა კონფლიქტს შეუძლია შეარყიოს ნდობა და ზიანი მიაყენოს პროფესიონალი ბუღალტრის და მთლიანად პროფესიის რეპუტაციას. პოტენციური ინტერესთა კონფლიქტის შესაფასებლად, პროფესიონალმა ბუღალტერმა უნდა გამოიყენოს გონიერი და ინფორმირებული მესამე მხარის ტესტი.

შეინარჩუნეთ სიფრთხილე

პროფესიონალი ბუღალტრებისგან მოელიან, რომ ისინი შეინარჩუნებენ სიფრთხილეს გარემოებების (მაგალითად, საქმიანობის, ინტერესებისა და ურთიერთობების) ისეთ ცვლილებებთან მიმართებით, რომლებსაც ინტერესთა კონფლიქტის გამოწვევა შეუძლია.
ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს ინტერესთა კონფლიქტების დროულად გამოვლენასა და მათზე დროულ სათანადო რეაგირებას.

როგორ წარმოიქმნება ინტერესთა კონფლიქტის შემქმნელი სიტუაციები

პროფესიონალი ბუღალტრები, როგორც წესი, ინტერესთა კონფლიქტის წინაშე აღმოჩნდებიან ხოლმე, როდესაც:

1. მათი საკუთარი ინტერესები წინააღმდეგობაში მოდის დამკვეთის, დამსაქმებლის, ან სხვა მხარის (რომლისთვისაც ისინი მუშაობენ) ინტერესებთან.

მაგალითად:

პროფესიონალი ბუღალტრები ბიზნესში (PAIB)

PAIB-ს თავის კომპანიაში საგადასახადო საკითხებზე მუშაობის მიზნით ევალება საგადასახადო სამართლის სპეციალისტი გარე იურისტის დაქირავება, ხოლო შერჩეული იურიდიული ფირმებიდან ერთ-ერთის პარტნიორი მისი მეუღლეა.

საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრები (PAPP)

საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტერი გარკვეული საკომისიო გადასახდელის სანაცვლოდ ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით მომუშავე ერთ-ერთ საკონსულტაციო ფირმას თავის დამკვეთთან უწევს რეკომენდაციას.

2. წინააღმდეგობაში მოდის ორი ან მეტი დამკვეთის, დამსაქმებლისა და სხვა მხარის (რომლისთვისაც პროფესიონალი ბუღალტრები მუშაობენ) **ინტერესები**.

მაგალითად:

პროფესიონალი ბუღალტრები ბიზნესში (PAIB)

PAIB არის საქველმოქმედო ორგანიზაციის გამგეობის წევრი და ფლობს ისეთ კონფიდენციალურ ინფორმაციას, რომლის გამოყენება შესაძლებელია მისი დამსაქმებლის სასარგებლოდ და საქველმოქმედო ორგანიზაციის საზიანოდ.

საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრები (PAAP)

საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტერი წარმოადგენს ორ დამკვეთს, რომლებიც აპირებენ განქორწინებას ან ერთობლივ ბიზნესში პარტნიორული ურთიერთობის შეწყვეტას.

კოდექსის კონცეპტუალური მიდგომა მოიცავს კონკრეტულ დებულებებს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაჭრან პროფესიონალმა ბუღალტრებმა ინტერესთა კონფლიქტები.

სად მივიღებთ დამატებით ინფორმაციას?

ინტერესთა კონფლიქტთან დაკავშირებული საკითხები ბიზნესში დასაქმებული პროფესიონალი ბუღალტრებისთვის აღწერილია კოდექსის 210-ე განყოფილებაში, ხოლო საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებული პროფესიონალი ბუღალტრებისთვის - 310-ე განყოფილებაში.კოდექსის კონცეპტუალური მიდგომის გამოყენებასთან დაკავშირებით დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ ეთიკის კოდექსის გამოკვლევის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილები.

www.IESBAeCode.org-ზე განთავსებული eCode არის ონლაინ რესურსი, რომელიც განკუთვნილია ბუღალტერთათვის და ასევე კოდექსის სხვა მომხმარებლებისათვის. იგი იძლევა კოდექსზე სწრაფად და ეფექტურად წვდომის საშუალებას, რაც ამარტივებს მის მოხმარებასა და პრაქტიკაში დანერგვას/გამოყენებას.

ინტერესთა კონფლიქტის მიმართ კონცეპტუალური მიდგომის გამოყენება

ინტერესთა კონფლიქტის შედეგად საფრთხე ექმნება ობიექტურობისა და (პოტენციურად) სხვა ძირითადი პრინციპების დაცვას. შესაბამისად, პროფესიონალმა ბუღალტერმა უნდა მიიღოს რაციონალური ზომები ისეთი გარემოებების **გამოსავლენად**, რომლებიც შესაძლოა ინტერესთა კონფლიქტის მიზეზი გახდეს. საზოგადოებრივი პრაქტიკით დაკავებულმა პროფესიონალმა ბუღალტერმა მსგავსი გარემოებები ახალ დამკვეთთან ურთიერთობის დაწყებამდე უნდა გამოავლინოს და განხილვისას აუდიტორული ფირმის მთლიანი ქსელი უნდა მოიცვას.

ინტერესთა კონფლიქტის შედეგად შექმნილი საფრთხის დონის **შეფასებისას** უნდა გაითვალისწინოთ, რომ რაც უფრო მეტად/პირდაპირ არის დაკავშირებული პროფესიული ქმედება ან მომსახურება კონფლიქტის გამომწვევ საკითხთან, მით უფრო მეტია ალბათობა იმისა, რომ საფრთხე არ იქნება მისაღები დონის.

ინტერესთა კონფლიქტზე **რეაგირების** მიზნით, პროფესიონალ ბუღალტერს შეუძლია:

- აიცილოს კონფლიქტი, შესაბამის საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესთან ნებისმიერი სახის კავშირის გაწყვეტით;
- გაატაროს დამცავი ზომები, რომლებშიც ხშირად მოიაზრება გარკვეული მოვალეობების რესტრუქტურიზაცია ან დამოუკიდებელი ზედამხედველობის პროცედურის დამატება; ან
- შეწყვიტოს პროფესიული საქმიანობა.

კონფიდეციალობასთან დაკავშირებული მოსაზრებები

ჩვეულებრივ აუცილებელია კონფლიქტის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნება იმ მხარეებისთვის, რომლებზეც გავლენას ახდენს აღნიშნული კონფლიქტი და მათგან თანხმობის მიღება განსახორციელებელ ქმედებებთან დაკავშირებით. თუმცა, ამან შესაძლოა გამოიწვიოს კონფიდენციალობასთან დაკავშირებული პრობლემები. თუ კონფიდენციალობასთან დაკავშირებული პრობლემის გამო შეუძლებელია ინფორმაციის გამჟღავნება, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ამ სიტუაციის მართვას და მის დოკუმენტირებას. ამ შემთხვევაში, ხშირად საუკეთესო გამოსავალია კონფლიქტის აღმოფხვრა ან პროფესიული საქმიანობის შეწყვეტა.

დოკუმენტირებისა და გამჭვირვალობის მნიშვნელობა

ინტერესთა კონფლიქტის მართვა კვალიფიციურ პროფესიულ განსჯასა და დახელოვნებულობას/ტაქტიანად მოქმედებას მოითხოვს. აგრეთვე, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გატარებული ზომებისა და მიღებული გადაწყვეტილებების სათანადოდ დოკუმენტირება. არსებულ/რეალურ ან შესაძლო კონფლიქტებზე რეაგირებისას მნიშვნელოვან როლს თამაშობს შესაბამისი დონის გამჭვირვალობა - კონფიდენციალობის მოთხოვნების დაცვის ფარგლებში - ნდობის შენარჩუნებისა და პრობლემების აღმოფხვრის თვალსაზრისით.

ბუღალტერთა საერთაშორისო ფედერაციის (IFAC) თანხმობით მის მიერ ინგლისურ ენაზე გამოცემული დოკუმენტი „ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 6: ინტერესთა კონფლიქტი“ ქართულ ენაზე ითარგმნა და გამოქვეყნდა საქართველოს პროფესიონალ ბუღალტერთა და აუდიტორთა ფედერაციის მიერ. IFAC-ის მიერ დამტკიცებულ ტექსტს წარმოადგენს მის მიერ გამოცემული ინგლისურენოვანი ვერსია. IFAC არ იღებს პასუხისმგებლობას თარგმანის სისწორესა და სისრულეზე ან მისგან გამომდინარე ნებისმიერ ქმედებაზე.

„ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 6: ინტერესთა კონფლიქტი“ - ინგლისურენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

„ბესსს-ის ეთიკის კოდექსის გამოკვლევა - ნაწილი 6: ინტერესთა კონფლიქტი“ - ქართულენოვანი ვერსია © [2020], IFAC. ყველა უფლება დაცულია.

სათაური ინგლისურ ენაზე: Exploring the IESBA Code Installment 6 – Conflicts of Interest

წინამდებარე დოკუმენტის გავრცელების, შენახვისა და გადაცემის, ან ნებისმიერი სხვა სახით მისი გამოყენების თაობაზე დაუკავშირდით IFAC-ს: *Permissions@ifac.org*